არა ძალადობას! ძალა უფლებას!

ტერმინი “ბულინგი" ინგლისური სიტყვაა და ქართულად ჩაგვრას/აბუჩად აგდებას ნიშნავს. ეს არის არასასურველი, აგრესიული სახის ქცევა, რომელიც უმეტესად ვლინდება სკოლის ასაკის ბავშვებში. „ბულინგი“ სოციალური მოვლენაა, რომელიც, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, დამახასიათებელია ძირითადად ორგანიზებული ბავშვთა კოლექტივისათვის და პირველ რიგში ეს არის სკოლა. თუმცა, არასწორია მოსაზრება, რომ როლური ურთიერთობა „ლიდერი–გარიყული“ მხოლოდ სასკოლო ასაკიდან იღებს სათავეს და უფრო ადრეულ ასაკში მას ადგილი არ აქვს. დღესდღეობით არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ მოზარდთა სოციალიზაციის პროცესი უფრო ადრე იწყება, ვიდრე ეს იყო წინა თაობაში. ასე რომ, როლური ურთიერთობები და თუნდაც ჯერ კიდეც გაუაზრებლად, მაგრამ სხვაზე ზეგავლენის მოპოვების სურვილიც ადრეულ, ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში იჩენს თავს.
„ბულინგი“ აქტუალური პრობლემაა როგორც მთელ მსოფლიოში, ისევე საქართველოშიც. ეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმაა, რომელიც მოზარდ თანატოლთა შორის არის გავრცელებული და ერთი მხარის მიერ მეორის დაჩაგვრასა და დაცინვაში გამოიხატება.შედეგად კი ძალიან ცუდ მდგომარეობას ვიღებთ, ხშირ შემთხვევაში ბავშვების სწორი მიმართულებით განვითარება წყდება და ძალიან დიდი ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ. ბულინგის შედეგები უშუალოდ შეიძლება დავუკავშიროთ თვითშეფასებას, უფრომეტად კი დაბალ თვითშეფასებას, რომელიც ძალიან უარყოფითად მოქმედებს პიროვნების განვითარებაზე.
ჩაგვრა/აბუჩად აგდება შეიძლება იყოს ვერბალური (მაგალითად, ნეგატიური, დამამცირებელი კომენტარების გაკეთება, ყვირილი, ჭორების გავრცელება), ან ფიზიკური (მაგალითად, დარტყმა, ნივთების სროლა). ხშირად ჩაგვრა ემოციური ძალადობის ხასიათს

ატარებს, მიმართულია რა დამცირებაზე, დამუქრებაზე, გამოძალვაზე, გაღიზიანებაზე. შესაძლოა ჩაგვრა განხორციელდეს დისტანციური გზითაც - სატელეფონო ზარით, მესიჯებით, ელექტრონული ფოსტით, ან სხვა ელექტრონული საშუალებებით (Cyber Bullying). შეუძლებელია გამოვყოთ ერთი მიმართულება, რომელიც უფრო მეტად მოქმედებს ადამიანზე, ნებისმიერი სახის ჩაგვრამ შეიძლება მიგვიყვანოს თვითშეფასების დაცემამდე.
სამწუხაროდ, ბულინგის მსხვერპლი ყოველთვის არ იწვევს საზოგადოებაში თანაგრძნობას. ბავშვის სისუსტე და მისი ჩაგვრა ზოგიერთ შემთხვევაში გარშემომყოფთა ზიზღსა და მისი გარიყვის სურვილს იწვევს. მოზარდთა გარემოში შეიძლება ჩამოყალიბდეს ნეგატიური დამოკიდებულება სასკოლო ძალადობის მსხვერპლის მიმართ იმ პრინციპით, რომ „ყველაფერში თავადაა დამნაშავე, რადგან წინააღმდეგობას ვერავის უწევს“. თავად ჩაგრული კი ამ შემთხვევაში ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარდება, რადგან გრძნობს აბსოლუტურ უიმედობას, სიტუაციის გამოუვალობასა და სრულ უმწეობას, რადგან განიცდის დაუძლეველ შიშს მჩაგვრელისა და იმ ახალი დამცირებების წინაშე, რომლებიც ჯერ კიდევ წინ ელის, ის გრძნობს სირცხვილს საკუთარი უმწეობის გამო. ხშირად, მოზარდი–მსხვერპლი ამ მდგომარეობაში საკუთარ თავსაც კი იდანაშაულებს, ფიქრობს რომ არაფერი არ შეუძლია, ამიტომ რაც მოხდა ამას ნამდვილად იმსახურებს.
ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი. მაგრამ განსაკუთრებით დაუცველები არიან ბავშვები, რომლებიც განსხვავდებიან თავისი თანატოლებისგან როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური მახასიათებლებით. რისკ–ჯგუფში ხვდებიან განსხვავებული ფიზიკური მონაცემების მქონე, თავისებური ხასიათისა და ქცევის, სხვა ეროვნების და ა.შ ბავშვები. ბულინგის მოტივაცია კი მრავალფეროვანია – შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა, ხასიათის თავისებურებები.

რა აქცევს ბავშვს მოძალადედ?

ძალადობრივი ქცევის გამომწვევი ფაქტორებიდან, ყველაზე ახლოა ოჯახის თემა, ბავშვის არაჯანსაღი სოციალური გარემო(განსაკუთრებით თანატოლები), მოძალადე მშობლები ან ნათესავები. ძალადობის შემცველ ფილმებსა და ვიდეოთამაშებს ამ მხრივ, გაცილებით ნაკლები დატვირთვა აქვთ, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, მიზეზი მაინც პრობლემის კომპლექსურობაში უნდა ვეძებოთ.

ბულინგი – ეს არის პირდაპირი ძალადობა, საკმაოდ უსიამოვნო ფაქტი რაც კი შეიძლება მოხდეს სკოლის არეალში. რაც შეეხება შევიწროებას, ეს ჩნდება მაშინ, როდესაც მოსწავლე განიცდის ბულინგს, მისი პიროვნული მახასიათებლების გამო. ანუ, განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება მოსწავლის გენდერი, წარმომავლობა ან ქმედუუნარობა.

ბულინგისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია შემდეგი გარემოებები:

ეს არის აგრესიული სახის ქცევა, რომელსაც განმეორებადი ხასიათი აქვს;

მჩაგვრელს აქვს მეტი ძალაუფლება ვიდრე დაჩაგრულს (უფრო ძლიერია ფიზიკურად, ან სტატუსით უფრო მაღლა დგას);
მჩაგვრელის ქმედება არის წინასწარ განზრახული;
მჩაგვრელი არ იღებს პასუხიმსგებლობას ჩადენილ საქციელზე და ხშირად აღნიშნავს, რომ მსხვერპლმა „დაიმსახურა“ ასეთი მოპყრობა.

ხშირ შემთხვევაში ბავშვი, რომელიც არის ჩაგვრის მსხვერპლი, არ საუბრობს საკუთარ პრობლემებზე მშობლებთან. თუმცა შეიძლება არსებობდეს ნიშნები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვს ჩაგრავენ და სჭირდება უფროსების მხრიდან მხარდაჭერა. ამ ნიშნების დროულად იდენტიფიცირებისთვის მშობელი ყურადღებით უნდა დააკვირდეს ხომ არა აქვს ადგილი ცვლილებებს შვილის ქცევებში.

განმეორებადმა, ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩაგვრამ ბავშვს შეიძლება მიაყენოს ძლიერი ემოციური ზიანი და უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს მის თვითშეფასებაზე. შედეგი შეიძლება ძალიან ხამოკლე დროში გამოვლინდეს ან გარკვეული დრო დასჭირდეს. ასევე ზემოქმედების ხარისხის განსაზღვრაც შეუძლებელია, შეიძლება ერთ ადამიანზე ბულინგის გარკვეულმა სახემ უფრო ნაკლებად იმოქმედოს, მეორეზე კი ძალიან დიდი გავლენა მოახდინოს. თვითშეფასება კი რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნების შენების პროცესში, ყველასთის ცხადი უნდა იყოს.

ტერმინი ბულინგი (ინგ.Bullying)დაშინებას, ჩაგვრას, დატერორებას ნიშნავს. ის შეიძლება განიმარტოს, როგორც წინასწარგანზრახული, განმეორებადი აგრესიული ქმედება, რომელიც მიმართულია სხვათა საზიანოდ. მას ყოველთვის ჰყავს სამიზნე, რომლზედაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ძალის დემონსტრირებას ცდილობს.

მოძალადის მახასიათებლები:

უყვართ სხვებზე ბატონობა;

არიან იმპულსურები და ადვილად ბრაზდებიან;

არიან აგრესიულები და გამომწვევად იქცევიან;

მსხვერპლის მიმართ არ განიცდიან თანაგრძნობას.

ბულინგის მსხვერპლი ბავშვის *ემოციური და ქცევითი* მახასიათებლები:

აქვთ ძილთან და კვებასთან დაკავშირებული პრობლემები;

ხშირად ტირიან და შფოთავენ;

ადვილად ეცვლებათ განწყობა;

დილით ცუდ ხასიათზე იღვიძებენ;

არაადეკვატურად იქცევიან;

გამუდმებით "კარგავენ" ფულს ან იწყებენ მოპარვას.

ფიზიკური მახასიათებლები:

აქვს აუხსნელი სისხლჩაქცევები, ნაკაწრები და სხეულზე არსებული სხვა იარები ;

სახლში დაზიანებული ნივთებითა და დახეული ტანსაცმლით ბრუნდება;

მშიერი მიდის სახლში.

მახასიათებლები, რომლებიც სკოლას უკავშირდება:

არ უნდა სკოლაში სიარული;

სკოლაში წასვლისას იცვლის მარშრუტს და სხვადასხვა გზით მიდის "დანიშნულების ადგილამდე";

სკოლაში წასვლის ეშინია;

საგრძნობლად უარესდება აკადემიური მოსწრება.

სხვა ნიშნები:

მსხვერპლი ხშირად მარტოა, სხვა ბავშვებისგან გარიყულია;

აქვს დაბალი თვითშეფასება;

უჭირს გაბედულად საუბარი.

რჩევები ბულინგის მსხვერპლთა მშობლებისათვის:

მოსმენა: უნდა მოისმინოთ მისი ამბავი, ისე რომ არ შეაწყვეტინოთ საუბარი. უნდა იყოთ თანამგრძნობნი, შეინარჩუნეთ სიმშვიდე და ნახეთ როგორ წარიმართება მოვლენები, შესაძლოა ბავშვმა კიდევ ერთხელ დაიწყოს თავისი ამბის მოყოლა.

საუბარი: საჭიროა ბავშვთან საუბარი იმის შესახებ რაც თავს გადახდა. უფროსმა აშკარად არ უნდა გამოხატოს ისეთი ემოციები როგორიცაა აღშფოთება და დისტრესი, რადგან ამან შეიძლება ბავშვის ემოციები უფრო ინტენსიური გახადოს, გამოიწვიოს ნეგატიური უკუკავშირი და შეაფერხოს სხვა დროს მასთან საუბარი .

ნორმალურია რომ ბავშვი წუხს, ის არასოდეს შეეგუება ჩაგვრას.

უნდა კითხოთ რა სურს რომ მოხდეს მომავალში, ხშირად მათი სურვილია ბულინგის აღმოფხვრა, მაგრამ შეიძლება ფიქრობდეს, რომ თუ მოძალადე ისჯება, გრძელვადიან პერსპექტივაში, მისთვის ეს უარესი იქნება.

უნდა გაირკვეს სად და როდის მოხდა ბულინგის შემთხვევა, ვინ იყო ჩართული მასში, რამდენად ხშირად ხდება ეს ქმედება, იმყოფებოდა თუ არა ვინმე შემთხვევის ადგილზე.

სკოლასთან დაკავშირება:

საჭიროა ბავშვის მასწავლებელთან ან დირექტორთან გასაუბრება;

უნდა გაირკვეს, იცის თუ არა სკოლის ხელმძღვანელობამ დატერორების ფაქტების შესახებ;

უნდა შემოწმდეს, როგორ პოლიტიკას ატარებს სკოლა, რათა აღმოიფხვრას ძალადობის შემთხვევები;

მოთხოვნის საფუძველზე შეიქმნას შედარებით დაცული სივრცე სასწავლო დაწესებულებებში და დაწესდეს მკაცრი კონტროლი.

ბავშვებს უნდა აუხსნან, რომ უმჯობესია თუკი მოერიდებიან მოძალადეებს, ან იმ სიტუაციებსა თუ ადგილებს, სადაც შესაძლოა გამოვლინდეს მომავალი ძალადობრივი ქმედება;

თუ ბავშვი ითხოვს სახლში დარჩენას და არ სურს სკოლაში სიარული, უნდა განუმარტონ რომ ასეთი საქციელი ვერ გამოასწორებს სიტუაციას და შეიძლება უარესიც კი იყოს მისთვის;

თუ შესაძლებელია, ბავშვების სურვილის შესაბამისად, ჩართონ ისინი სხვადასხვა აქტივობებში მაგ: სკოლის კლუბებში ან სკოლის გარეთ არსებულ სხვა ჯგუფურ საქმიანობაში;

მშობელმა უნდა შთააგონოს ბავშვს, რომ ძალადობას ძალადობითვე არ უნდა უპასუხოს და ასწავლოს ბულინგის საპასუხოდ არსებული ალტერნატიული ქმედება, მაგ: ნეიტრალური ენის გამოყენება ან (საჭიროების შემთხვევაში) ხუმრობაც კი.

ძალადობამ მოიცვა მთელი მსოფლიო. ხალხი პრობლემის იოლ გადაწყვეტას ძალმომრეობაში, სხვათა ჩაგვრასა და შეურაცხყოფაში ხედავს. აუცილებელია ბავშვების მიერ გამოვლენილ ძალადობრივ ქმედებებზე ყურადღების გამახვილება და მისი ადრეულ ასაკშივე აღმოფხვრა, რათა ზრდასრულობაში მძაფრი გამოვლინება არ ჰპოვოს და ისეთი ფატალური შედეგით არ დასრულდეს, როგორიცაა - მოძალადედ ჩამოყალიბება. საზოგადოებამ უნდა აღკვეთოს ბულინგის ყველანაირი გამოვლინება და გადაჭრით თქვას "არა" ძალადობას!

ბულინგი ქმედება, რომელიც მიმართულია სხვათა საზიანოდ. ბულინგი ერთგვარ სოციალურ მოვლენას წარმოადგენს. სპეციალისტების მტკიცებით ის ძირითადად დამახასიათებელია ორგანიზებულ ბავშვთა კოლექტივისათვის, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სკოლაში გვხვდება. მას ყოველთვის ჰყავს სამიზნე, რომელზეც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ძალის დემონსტრირებას ცდილობს. ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი

შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი, თუმცა ბულინგის მსხვერპლნი უფრო მეტად ხდებიან რაიმე ნიშნით განსხვავებული ბავშვები, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ.
როგორც წესი, ბავშვ-აგრესორებს მაღალი თვითშეფასება აქვთ, არიან ნარცისები და თავიანთ გარემოში სოციალური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ. სხვა მოსაზრებების მიხედვით, ისინი თვითონვე არიან ძალადობის მსხვერპლნი, მათი თვითშეფასება მყიფეა და მერყევი, აქედან გამომდინარე „სამართლიანობის აღდგენას“ ისინი პოულობენ მათზე სუსტების დაჩაგვრაში. ბულინგის მსხვერპლი კი სხვებთან შედარებით არის რაიმე ნიშნის მიხედვით განსხვავებული, უფრო პატარა და სუსტი.

გამოჰყოფენ ბულინგის რამდენიმე სახეს, ესენია:

ფიზიკური ბულინგი - ბულინგის ყველაზე ძალადობრივი ფორმა, რომელიც გულისხმობს ფიზიკური ზიანის მიყენებას ან მის მცდელობას. მისი ფორმებია:დარტყმა, ხელის ან წიხლის კვრა, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება, პირადი ნივთების განზრახ დაზიანება და ა.შ.;

ვერბალური ბულინგი - არის ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა. ამ შემთხვევაში მოსწავლის დამცირებას და მასზე ძალადობას აქვს ვერბალური ხასიათი. მისი ფორმებია: დამცინავი სახელით მიმართვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ჰომოფობიური და რასისტული გამონათქვამები, დაშინება;

ფარული/შენიღბული ბულინგი - ეს არის მორალური და ემოციური ძალადობის ფორმა, რომელიც პირდაპირ არ არის მიმართული ობიექტისადმი. რთული მისახვედრია როდის ხორციელდება იგი; მოძალადე ჩაგრული პერსონის ზურგს უკან მოქმედებს, რათა საფრთხე შეუქმნას მის რეპუტაციას და დაამციროს საზოგადოების წინაშე. მისი ფორმებია: ტყუილები, ჭორების გავრცელება, სხვა მოსწავლეებთან დამცირება, მოსწავლის სოციალურ იზოლაციაში მოქცევა და სხვ.

კიბერბულინგი - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ფარული ან აშკარა დაშინების მიზნით, განხორციელებული ქმედება."კიბერბულინგში" მოიაზრება: სოციალურ ქსელებში შეურაცხმყოფელი ფოტოების ან ვიდეოს განთავსება, უხამსი ჭორების გავრცელება, მავნე მოკლეტექსტური შეტყობინებების გაგზავნა, სხვათა სახელით გვერდებისა და სოციალურ ქსელებში ანგარიშების შექმნა.

ბულინგის მოტივები განსხვავებულია, ეს შეიძლება იყოს: შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა და სხვ. მისი შედეგები სავალალოა, ძალადობის მსხვერპლი ბავშვი შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ განიკურნოს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დაზიანებისაგან. განიცდიდეს მუდმივ შიშს, შფოთვას, დამცირებას, მოჭარბებულ აგრესიას და რაც ყველაზე მთავარია, თვითშეფასების დაქვეითებას, ეს კი ნორმალური ფსიქიკის დეფორმაციის საფუძველი შეიძლება გახდეს. ბულინგის გავლენას თვითშეფასებაზე აქტიურად შეისწავლიან.

თვითშეფასება არის თვითშემეცნების კომპონენტი, რომელიც მოიცავს საკუთარი ფიზიკური, პიროვნული, ინტელექტუალური მახასიათებლების, მორალური თვისებებისა და ქცევის შეფასებას. იგი პიროვნების ცენტრალური წარმონაქმნია და მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ბავშვებს ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში უყალიბდებათ და უვითარდებათ თვითშეფასება - საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების შეფასების უნარი, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს მათ ქცევას. თვითშეფასება შეიძლება იყოს ადეკვატური და არაადეკვატური. არაადეკვატური თვითშეფასება, თავის მხრივ, არაადეკვატურად მაღალი ან არაადეკვატურად დაბალია. არაადეკვატურად მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვი გაზვიადებით აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, რის გამოც სისტემატურად განიცდის მარცხს; არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასების შემთხვევაში ბავშვი სათანადოდ არ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს. ასეთი თვითშეფასების მქონე ბავშვისათვის დამახასიათებელია გაუბედაობა, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა.

ბულინგის ეფექტები თვითშეფასებაზე შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი სახით:

თავდაჯერებულობის დაკარგვა- არის ბულინგის ერთ-ერთი პირველი ეფექტი. ბავშვი ფიქრობს, რომ ის არ არის ისეთივე კარგი, რაიმე კონკრეტულ საქმიანობაში (მაგ: სპორტში), როგორც „მოძალადე“ ე.წ. ბულერი. სამწუხარო ფაქტი კი ისაა, რომ რეალურად დაჩაგრული/მსხვერპლი ბავშვი სჯობს ამ აქტივობაში „მოძალადეს“ და ბულინგი მის წინააღმდეგ შურის ნიადაგზე ხორციელდება.

თვითკრიტიკა ან უარყოფა - როდესაც ბავშვს ხშირად დასცინიან და ამცირებენ რაიმეს გამო, ის საბოლოო ჯამში იჯერებს, რომ ეს სიმართლეა და იწყებს იმ ფაქტის აღიარებას, რომ, მართლაც, პრობლემა მასშია. განსაკუთრებით დამანგრეველია თვითშეფასებისათვის ისეთ ფიზიკურ ნიშნებზე დაცინვა, რისი შეცვლაც შეუძლებელია, მაგ: სიმაღლე, კანის ფერი და ა.შ.

ეს ბავშვები იწყებენ ფიქრს, რომ არიან სხვებზე ცუდები, ამიტომაც დასცინიან მას განსხვავებულობის გამო.

საწოლის დასველება (ენურეზი) - ბულინგის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ეფექტს წარმოადგენს, რომელიც გავლენას ახდენს თვითშეფასებაზე. კვლევები ადასტურებენ, რომ ბავშვები, რომლებიც განიცდიან ჩაგვრას/ძალადობას აქვთ მიდრეკილება ბავშვობის პერიოდში ენურეზისაკენ, რაც თვითშეფასებას აზიანებს და უქმნის პრობლემას, რადგან მათ არ შეუძლიათ სირცხვილის გამო სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის მიღება, მაგ: ბანაკში წასვლა ან ღამით მეგობართან დარჩენა.

იზოლაცია - როცა ბავშვის თვიშეფასება საკმაოდ დაზიანებულია, მას ურჩევნია, რომ თავიდან აირიდოს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობა. ბავშვი ხდება დეპრესიული ან აგრესიული. იზოლაციამ კიდევ უფრო დიდი პრობლემები შეიძლება შექმნას, თუ ბავშვი ატარებს მთელ თავისუფალ დროს ოთახში მარტო ამან შეიძლება ასოციალურობა გამოიწვიოს.

აშშ-ში, კიბერბულინგის საკვლევი ცენტრის მიერ, ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა კიბერბულინგისა და თვითშეფასებას შორის კავშრის დადგენას. კვლევაში მონაწილეობა 30 საშუალო სკოლიდან, შემთხვევითად შერჩეული, დაახლოებით, 2 ათასი მოსწავლე (მე-6, მე-8 კლასები). კვლევამ აჩვენა, რომ კიბერბულინგის მსხვერპლებსა და დამნაშავეებს ორივეს ჰქონდათ მნიშვნელოვნად დაბალი თვითშეფასება, განსხვავებით იმ ბავშვებისა, რომლების არ იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი ან მოძალადეები. ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად შენარჩუნდა ასაკის, სქესისა და რასის შემთხვევაში, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს, არა თეთრკანიანებს და უფროსი საშუალო სკოლის მოსწავლეებს (მე-8 კლასი) უფრო დაბალი თვითშეფასება ჰქონდათ

ბულინგის გავლენა თვითშეფასებაზე, აგრეთვე, ვლინდება სუიციდის მცდელობებითა თუ მისი რეალური განხორციელებით. ბავშვი გრძნობს, რომ არასრულფასოვანია, ის ვერასოდეს იქნება ისეთივე კარგი, როგორიც სხვები არიან, მან მუდმივად უნდა იცხოვროს იზოლაციაში, სხვებისგან დაჩაგრულმა და გარიყულმა და იღებს გადაწყვეტილებას, რომ სუიციდით დაასრულოს სიცოცხლე. შესაბამისად სუიციდის რისკი 14 წლამდე ასაკის ბავშვებში ბოლო 30 წლის განმავლობაში 50%-მდე გაიზარდა. ფართოდაა ცნობილი ინტერნეტსივრცეში იმ ბავშვების სახელები,რომლებიც წლების განმავლობაში განიცდიდნენ ბულინგს და საბოლოოდ თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე.

ბულინგი და მოსწავლეთა დარღვევების არასრულყოფილი სტატისტიკა საქართველოს სკოლებში

უსაფრთხო სასკოლო გარემო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს პრობლემატური საკითხია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ფართო გაგებით, უსაფრთხო სკოლის კონცეფცია მოსწავლეებისა და პერსონალის, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ - ემოციურ უსაფრთხოებას გულისხმობს. ფიზიკური უსაფრთხოების ნაწილი აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა სკოლის ინფრასტრუქტურული მოწყობა, ჯანსაღი კვება, უცხო პირების სასკოლო ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების საკითხი, მოსწავლის ან/და სკოლის პერსონალის მხრიდან სხვა მოსწავლეზე ფიზიკური ძალადობის გამოვლინების პრევენცია, კატაკლიზმებთან და საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული რუტინები და სხვა წინასწარი ზომები, რომლებიც შემხებლობაშია მოსწავლეების ფიზიკურ ჯანმრთელობასთან. რაც შეეხება ემოციურ უსაფრთხოებას, იგი აერთიანებს ყველა სახის ძალადობის აღმოფხვრას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფსიქოლოგიურ დათრგუნვას, არაჯანსაღი სასკოლო პროცესების განვითარებას და დაძაბული ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

წინამდებარე სტატიაში, ყურადღება სწორედ ამ უკანასკნელზე, სკოლებში ემოციური უსაფრთხოების საკითხზე მახვილდება.

ემოციური უსაფრთხოების ნაწილში, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია მოსწავლეების მხრიდან ერთმანეთის დაშინების მავნე პრაქტიკა ე.წ. ბულინგი. ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიხედვით, ბულინგი (ინგ. Bullying; ქართ. დაშინება) არის ძალადობრივი ხასიათის აგრესიული ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს დაუმორჩილოს ადრესატი რეალურ ან/და წარმოსახვით ძალაუფლებას. ბულინგი, როგორც წესი, პოტენციურად განმეორებადი ქცევაა. იმავე დეპარტამენტზე დაყრდნობით, ბულინგი განსაკუთრებით ხშირად ვლინდება სკოლის მოზარდებში, შესაბამისად, მისი განხორციელების ადგილი, ძირითადად, სკოლაა. არსებობს ბულინგის ოთხი განსხვავებული კატეგორია: ვერბალური, სოციალური, ფიზიკური და კიბერ ბულინგი, რომლებიც, თავის მხრივ, აერთიანებენ დაშინების მრავალფეროვან მეთოდებს. დასავლეთის წარმატებული

დემოკრატიების ქვეყნებმა დიდი ხანია აღიარეს ბულინგი, როგორც უსაფრთხო სკოლის მთავარი გამოწვევა და პრობლემა.

ბულინგის თემით, საქართველოს განათლების სამინისტრო 2015 წელს დაინტერესდა. სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურმა“ ბულინგის შემთხვევათა სტატისტიკის წარმოება სწორედ 2015 წლიდან დაიწყო და არსებული ინფორმაციით, 2018 წლამდე, მთელი საქართველოს მასშტაბით, დაფიქსირებულია ბულინგის 474 შემთხვევა (იხ. ცხრილი 1). აღრიცხვის სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ 2015 წლიდან, თითქმის ყოველ წელს იზრდება ბულინგის შემთხვევები. კატეგორიებად დაყოფილი ბულინგის სტატისტიკა, სამწუხაროდ, არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, არ ვიცით საქართველოს სკოლებში როგორი სახის ძალადობა ჭარბობს მოსწავლეებს შორის.

ბულინგის შემთხვევების სტატისტიკას სკოლებში მანდატურის სამსახური აწარმოებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მთელი ქვეყნის მასშტაბით არ აღირიცხება. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში 2 312 სკოლაა, მათგან 2 085 საჯარო, ხოლო 227 კერძო სკოლაა. 2019 წლისთვის 1 312 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, მხოლოდ 486 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფს უსაფრთხოებას. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ ძალადობის შემთხვევებს მანდატურები საჯარო სკოლების მხოლოდ 23%-ში აღრიცხავენ, სკოლების საერთო რაოდენობისთვის კი ეს 21%-ია. ამ მიმართულებით რა ვითარებაა სკოლების 79%-ში, სამწუხაროდ, ამის შესახებ განათლების სამინისტრო ინფორმაციას არ ფლობს. კიდევ ერთი პრობლემა ბულინგის აღრიცხვის შემთხვევაში შეიძლება იყოს ე.წ. მიმართვიანობის საკითხი. ხშირად, ბულინგის ხასიათიდან გამომდინარე, მისი გარე თვალისგან შემჩნევა საკმაოდ რთულია, ბულინგის მსხვერპლი კი, როგორც წესი, გაჩუმებას ამჯობინებს. ბულინგის პრევენციის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება სკოლის ფსიქოლოგთა ჩართულობაა, რასაც საქართველოს სკოლები მოკლებულნი არიან.

რაც შეეხება მიმდინარე სასწავლო წლის დარღვევების სტატისტიკას, რომელიც, აგრეთვე მანდატურების მიერ, საქართველოს სკოლების 21%-ში აღირიცხება, მოსწავლეების მხრიდან ყველაზე ხშირ დარღვევად გაკვეთილიდან გაპარვა ფიქსირდება, საკმაოდ მაღალია გაკვეთილის ჩაშლის ან/და ჩაშლის მცდელობის შემთხვევები, აგრეთვე, არაეთიკური ქმედების და თამბაქოს მოხმარების შემთხვევები.

ინფორმაციისთვის, 2019 წლის განათლების სამინისტროს ბიუჯეტში უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფისთვის 15 259 000 ლარია გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ წლიდან-წლამდე აღნიშნული ბიუჯეტი იზრდებოდა (იხ. ცხრილი 3) და 2019 წლისთვის, ჯერჯერობით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.